თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3259271

ნომერი: AR1503147

თარიღი : 11.05.2017

გაცემის თარიღი : 15.05.2017

გაცნობის თარიღი : 15.05.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქობულეთი , N 40 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქობულეთი , N 38 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი ქოროღლიშვილი პ/ნ 01019016394
- თბილისი ც.დადიანის ქ. II მ/რ კორ. 3 ბ. 20

ორგანიზაცია:

- შპს "ევროპროდუქტი" კოდი: 202227134

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება
- დროებითი დანადგარი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
ვინაიდან 04.05.2017 წ. №3245708 ბრძანებით კონდიციონერსა და ვენტილაციის დანადგარის განთავსება გათვალისწინებულია პროექტით, საჭიროა იხელმძღვანელოთ აღნიშნული ბრძანებით, ხოლო რაც შეეხება მეორე კონდიციონერის განთავსებას (მარცხენა მხარეს), საჭიროა აღნიშნული დაიტანოთ 04.05.2017 წ. №3245708 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმაზე, დეტალურად გაბარიტული ზომების მითითებით.
ზემოაღნიშნულის შესაბამისად განახლდეს ფოტომონტაჟი და ამოღებულ იქნას 04.05.2017 წ. №3245708 ბრძანებით შეთანხმებული კონდენციონერი.
სამსახურში შემოსულ სარეკლამო აბრაზე წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტირებულ) ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში კი ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.